სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

61570395657723

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N230410723

რეგისტრაციის თარიღი

30.03.2023 წ

ნოტარიუსი: ირმა შარვაძე
მისამართი: თბილისი, ჟ. შარტავას 42
ტელეფონი: 591709917

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge
ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი

მე, ნოტარიუსი, ირმა შარვაძეს შემცვლელი პირი მარიამ გინტური, სანოტარო ბიურო, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას #42-ში, მიმიწვიეს სანოტარო მოქმედების შესასრულებლად გაგარინის 29ა-ში, სადაც მომმართა **ზურაბ ქოქოსაძემ,** რომელმაც განაცხადა, რომ არის სს საქართველოს ბანკის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204378869) გენერალური დირექტორის მოადგილე, რაც დასტურდება სს საქართველოს ბანკის ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (რომელიც ინახება ჩემს არქივში) და რწმუნებულებით, გაცემული სს საქართველოს ბანკის გენერალური დირექტორის არჩილ გაჩეჩილაძის მიერ მიერ 21.02.2023 წ. დამოწმებული ნოტარიუს ირმა შარვაძის მიერ, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი: N230224510 (რომელიც ინახება ჩემს არქივში). **ზურაბ ქოქოსაძემ** მოითხოვა რწმუნებულების შედგენა **გიორგი წეროძის** სახელზე და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე **ზურაბ ქოქოსაძეს** პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პასპორტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ზურაბ ქოქოსაძემ** (დაბადებული 25.11.1982 წ. ქ. სოხუმი, პირადი ნომერი: 62001032255, მცხოვრები თბილისი სამგორი III მასივი IX კვ. კორ. 2 ბ. 1) მომმართა, დავადგინე მისი ქმედუნარიანობა, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილება და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. აგრეთვე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, შემდეგ შევადგინე წინამდებარე რწმუნებულება, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მარწმუნებელს. მარწმუნებელმა წაიკითხა რწმუნებულება და განაცხადა, რომ რწმუნებულება ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგ **ზურაბ ქოქოსაძემ** ხელი მოაწერა შემდეგ რწმუნებულებას:

რწმუნებულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება ნოტარიუს ირმა შარვაძის სანოტარო არქივში, ხოლო ერთი გადაეცა მარწმუნებელს.

გადახდილია საზღაური 30.00 ლარი, + სანოტარო ბიუროს გარეთ შესრულებული მოქმედებისთვის 35,00 ლარი დღგ 11,70 ლარი, რეგისტრაციის საფასური 5.00 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა (“სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურებისვადების დამტკიცების შესახებ”) 31-ე, 34-ე და 39-ე მუხლისა და საგადასახადო კოდექსის 166 მუხლისა.

რწმუნებულება

ს/ს „საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორის მოადგილე **ზურაბ ქოქოსაძე** (შემდგომში - მარწმუნებელი), **გიორგი წეროძეს** (პირადი ნომერი: 01008027997; შემდგომში - რწმუნებული), ვანიჭებ უფლებამოსილებას, რათა მან მარწმუნებლის (სს საქართველოს ბანკის) სახელით:

1. დადოს და გააფორმოს (მათ შორის, კანონმდებლობით გათვალისწინებული ფორმით (მათ შორის ელექტრონული ხელმოწერით) ხელი მოაწეროს):

1.1. გენერალური საკრედიტო ხაზის, საკრედიტო ხაზის, საბანკო კრედიტის, ოვერდრაფტის, დეპოზიტის და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის დოკუმენტ(ებ)ი/ ხელშეკრულება(ები)/შეთანხმება(ები) 1,000,000 (ერთი მილიონი) აშშ დოლარის (შესაბამისი კურსით სხვა ვალუტაში) ფარგლებში;

1.2. ინფორმაციის კონფიდენციალურობის ან/და საბანკო პროდუქტ(ებ)თან დაკავშირებული სხვა სახის დოკუმენტ(ებ)ი/ხელშეკრულება(ები)/ შეთანხმება(ები)/გარიგება(ები);

1.3. იპოთეკის, გირავნობის, თავდებობის ხელშეკრულებები ან/და ნებისმიერი სხვა სახის უზრუნველყოფის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული სხვა სახის დოკუმენტ(ებ)ი/ხელშეკრულება(ები)/ შეთანხმება(ები)/გარიგება(ები);

2. წინამდებარე რწმუნებულების 1.1, 1.2 და 1.3 ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დოკუმენტ(ებ)ში/ხელშეკრულება(ებ)ში/შეთანხმება(ებ)ში/გარიგება(ებ)ში შესატანი ნებისმიერი სახის ცვლილებ(ებ)ის/დამატებ(ებ)ის (გარდა 1.1 ქვეპუნქტში მოცემულ დოკუმენტ(ებ)ში/ხელშეკრულება(ები)ში/ შეთანხმება(ები)ში/გარიგება(ები)ში თანხის ცვლილებისა, თუ აღნიშნული ცვლილებით გათვალისწინებული ნებისმიერი გარიგების თანხა გადააჭარბებს წინამდებარე რწმუნებულების 1.1. ქვეპუნქტით განსაზღვრულ თანხობრივ ლიმიტს) შესახებ შეთანხმებ(ებ)ი ან/და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის განცხადება(ები)/წერილ(ებ)ი, გარდა მარწმუნებლის სასარგებლოდ რეგისტრირებული უფლების გაუქმების ან გაუქმების დაპირების წერილებისა.

3. წინამდებარე რწმუნებულების 1-ლი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში:

3.1. წარმოადგინოს მარწმუნებელი ნებისმიერ მესამე პირთან, საჯარო ან/და კერძო ორგანიზაციებში/დაწესებულებებში, აგრეთვე სანოტარო ბიუროში;

3.2. ხელი მოაწეროს ნებისმიერ საჯარო ან/და კერძო პირისთვის წარსადგენ ნებისმიერი სახის დოკუმენტაციას/კორესპონდენციას/განცხადებ(ებ)ს/წერილ(ებ)ს, გარდა მარწმუნებლის სასარგებლოდ რეგისტრირებული უფლების გაუქმების ან გაუქმების დაპირების წერილებსა;

3.3. სარეგისტრაციო ორგანოებში/დაწესებულებებში სარეგისტრაციოდ წარადგინოს ნებისმიერი სახის ხელშეკრულება(ები)/შეთანხმება(ები)/გარიგება(ები)/განცხადება(ები)/ წერილ(ებ)ი/დოკუმენტაცია.

რწმუნებულება გაცემულია 2024 წლის 1 აპრილამდე.

მარწმუნებელი

ზურაბ ქოქოსაძე _____

ნოტარიუსი_____

ეკატერინე
ფურცხვაძე

საქართველოს ბანკი
ბიზნესი

№ OC237998

27. 09 2023

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახურს

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს
სარეგისტრაციო სამსახურს

სს საქართველოს ბანკი (ს/კ 204378869) (შემდგომში - **ბანკი**) წარმოდგენილი მომართვის პასუხად გაცნობებთ, რომ **ბანკი**, როგორც იპოთეკარი, თანახმაა მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით № 01.10.06.022.007 (შემდგომში - **იპოთეკის საგანი**) (მესაკუთრე: შპს "დიდი დიღომი რეზიდენსი", (ს/ნ 404665331) დაზუსტებული ფართობი: 77350.00 კვ.მ. მისამართი: ქალაქი თბილისი, პეტრე იბერის ქუჩის შესახვევი N13) სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში წარდგენილი განაცხადის შესაბამისად შეთანხმდეს არქიტექტურული პროექტი და გაიცეს **მშენებლობის ნებართვა** (შემდგომში - **ნებართვა**). ამასთან, გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ზემოაღნიშნულ **იპოთეკის საგანზე ბანკის** სასარგებლოდ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ნებისმიერი/ყველა უფლება(ები) (მათ შორის, როგორც არსებული ისე სამომავლო) სრულად შენარჩუნდება/დარეგისტრირდება. ამასთან, ასეთი უფლებები სრულად შენარჩუნდება/დარეგისტრირდება მათ შორის იმ უძრავ ნივთებზეც, რომელიც **იპოთეკის საგანზე ნებართვის** საფუძველზე განხორციელებული/განსახორციელებელი ცვლილების შედეგად წარმოიშობა/დარეგისტრირდება.

პატივისცემით,

გიორგი წეროძე

კორპორაციული საბანკო მომსახურების
დეპარტამენტის სექტორის უფროსი

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

08351550826823

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N230291654

რეგისტრაციის თარიღი

07.03.2023 წ

ნოტარიუსი: დავით მეფარიშვილი
მისამართი: თბილისი, აკ.წერეთლის გამზ 104
ტელეფონი: 598262299, 593262299

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge
ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორი ათას ოცდასამი წლის შვიდ მარტს, მე, ნოტარიუსს დავით მეფარიშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს ქ.თბილისი, აკაკი წერეთლის გამზ. N104-ში, მომმართა გიორგი ხუციშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ არის შპს დიდი დიღომი რეზიდენსის (ს/ნ № 404665331) წარმომადგენელი და სურს შეადგინოს მინდობილობა, რომლითაც შესაბამის უფლებამოსილებას მიანიჭებს მარიამ პაპუკაშვილს. მე დავადგინე მისი პირადობა, მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად გიორგი ხუციშვილმა (დაბ. 02.03.1982წ, პ/ნ № 59001014461, რეგისტრაციის მის. საქართველო, გორის მუნიციპალიტეტი, ქალაქი გორი, თამარ მეფის V კვარტალი, N 15, ბინა 15) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა, და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გამაჩნია. მე შევამოწმე გიორგი ხუციშვილის უფლებამოსილება წესდებით და ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან შპს დიდი დიღომი რეზიდენსის შესახებ, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B23020271, 15/02/2023 15:14:59, ს/ნ № 404665331, ი/მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, რ. თაბუკაშვილის ქუჩა, (ყოფილი ძნელაძე), N 27, და დავრწმუნდი მის უფლებამოსილებაში. შემდეგ შევადგინე მინდობილობა, რომელიც ხმამაღლა წავუკითხე მას და განვუმარტე მინდობილობის შინაარსი და მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, აგრეთვე ის, რომ მას უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა. მან წაიკითხა მინდობილობის ტექსტი და განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით მოაწერა ხელი.

მინდობილობა

ორი ათას ოცდასამი წლის შვიდ მარტს მე, გიორგი ხუციშვილი (დაბ. 02.03.1982წ, პ/ნ № 59001014461, რეგისტრაციის მის. საქართველო, გორის მუნიციპალიტეტი, ქალაქი გორი, თამარ მეფის V კვარტალი, N 15, ბინა 15) , როგორც შპს დიდი დიღომი რეზიდენსის (ს/ნ № 404665331 ი/მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, რ. თაბუკაშვილის ქუჩა, (ყოფილი ძნელაძე), N 27) წარმომადგენელი, შემდეგში „მარწმუნებელი“, ამ მინდობილობით მარიამ პაპუკაშვილს (დაბ. 10.08.1992წ, პ/ნ № 01008044858, რეგისტრაციის მის. საქართველო, ქალაქი თბილისი, თენგიზ აბულაძის ქუჩა, N 9, ბინა 3) , (შემდეგში „რწმუნებული“) ვანიჭებ შემდეგ უფლებამოსილებას:

რწმუნებული უფლებამოსილია წარმოადგინოს შპს დიდი დიღომი რეზიდენსი (ს/ნ № 404665331) საპროექტო და სამშენებლო საკითხების მოგვარებასთან დაკავშირებით. მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად რწმუნებული შპს დიდი დიღომი რეზიდენსს (ს/ნ № 404665331) წარმოადგენს ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებში, მერიაში, საკრებულოში, გამგეობაში, არქიტექტურის საქალაქო/მუნიციპალურ სამსახურში, მუნიციპალურ ინსპექციაში, ურბანული განვითარების სამსახურში, სხვა საქალაქო და მუნიციპალურ სამსახურებში, ეროვნულ მარეგულირებელ კომისიებში, ბუნებრივი გაზის/ ელ.ენერგიის/ წყალმომარაგების/ კომუნიკაციების ლიცენზიანტებთან, იუსტიციის სამინისტროს შესაბამის სამსახურებში, იუსტიციის სახლში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სანოტარო ბიუროში, ნებისმიერ სამინისტროში, დეპარტამენტში, სააგენტოში, სხვა სახელმწიფო და ადგილობრივ დაწესებულებაში, ადმინისტრაციულ ორგანოში.

რწმუნებულს უფლება აქვს მარწმუნებლის სახელით ხელი მოაწეროს განცხადებას, საჩივარს და შეიტანოს ნებისმიერ ორგანიზაციაში/დაწესებულებაში, მიიღოს მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში; აწარმოოს ქონების ლეგალიზაციასთან, გამოუჯვნასთან, დაყოფასთან, გაერთიანებასთან, საზღვრების დადგენასთან, ექსპლუატაციაში მიღებასთან, გაზიფიკაციასთან, ელექტრიფიკაციასთან, წყალმომარაგებასთან და წყალანირებასთან, საპროექტო/სამშენებლო დოკუმენტაციის მომზადება/შეთანხმებასთან და შესაბამისი თანხმობების/ნებართვების/მოწმობების მიღებასთან დაკავშირებული საქმეები, გასცეს/გამოითხოვოს/მიიღოს საკუთრების /ფლობის უფლებასთან დაკავშირებული ან/და ამ უფლებიდან გამომდინარე ნებისმიერი თანხმობა/ნებართვა/მოწმობა. განახორციელოს მიმდინარე ან/და კაპიტალური რემონტი, დაგეგმარება/გადაგეგმარება, მიშენება/დაშენება, საკომუნიკაციო ქსელებთან (ელ.ენერგია, წყალმომარაგება/წყალანირება, ბუნებრივი გაზი, სატელეკომუნიკაციო და სხვ) მიერთება/გათიშვა, მახასიათებლების სხვაგვარი შეცვლა. რწმუნებული უფლებამოსილია მარწმუნებლის სახელით წარადგინოს და მიიღოს შესაბამისი დოკუმენტები, მოაწეროს ხელი მარწმუნებლის მაგივრად, გადაიხადოს/დაიბრუნოს ბაჟი ან/და სხვა გადასახადები (მათ შორის კომუნალური) და შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ რწმუნებულებაში, მაგრამ აუცილებელია მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

რწმუნებულს უფლება არა აქვს ამ მინდობილობით მინიჭებული უფლებები სრულად ან ნაწილობრივ გადასცეს სხვა პირს/პირებს თავისი შეხედულებისამებრ.

მინდობილობა გაცემულია 10 წლის ვადით და ძალაშია ორი ათას ოცდაცამეტი წლის შვიდი მარტის ჩათვლით.

მინდობილობა შედგენილია 3 თანაბარი მნიშვნელობის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს დავით მეფარიშვილის სანოტარო არქივში და დაერთვის გიორგი ხუციშვილის უფლებამოსილების დამდგენი დოკუმენტაცია. სტანდარტული წესდების ეგზემპლარი დაცულია ჩემს სანოტარო არქივში (რ/რ N220511107)

"სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესის და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N507 დადგენილების საფუძველზე გადახდილია სულ: 40.4 ლარი, მათ შორის 31.8 მუხლის საფუძველზე 30 ლარი, რეგისტრაციის საფასური 5 ლარი 39.1. მუხლის საფუძველზე და დღგ 5.4 ლარი საგადასახადო კოდექსის 166 მუხლის საფუძველზე.

ხელმოწერა _____

ნოტარიუსი დავით მეფარიშვილი

თანხმობა

თბილისი

24 ოქტომბერი

2023წ.

შპს „სკა ისტეიტი“ (ს.ნ.400351588), დირექტორი **გიორგი ქრისტინაშვილი** (პ.ნ. 01002008207), თანახმაა თავის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე ს.კ. 01.10.06.022.008, **შპს „დიდი დიღომი რეზიდენს“-მა** (ს.ნ. 404665331), დირექტორი **გიორგი ხუციშვილი** (პ.ნ. 59001014461), მოაწყოს დროებითი სამშენებლო ღობე.

გიორგი ქრისტინაშვილი

დირექტორი

შპს „სკა ისტეიტი“ გიორგი ქრისტინაშვილი

აკინძულია
ნოტარიუსი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N231488552
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	24.10.2023 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება**
ნოტარიუსი	**ნინო ხოფერია**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. 24/1**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	**+995 32 2 98 70 24**
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	**16257824122723**

საქართველო

ორი ათას ოცდასამი წლის ოცდაოთხ ოქტომბერს, მე, ნოტარიუსი ნინო ხოფერია, სანოტარო ბიურო მდებარე: თბილისი, რუსთაველის გამზ. 24/1, ვამოწმებ გიორგი ქრისტინაშვილის (დაბ. 24.05.1978წ., რეგ. ქალაქი თბილისი, გლდანის მასივი, VIII მიკრო/რაიონი, კორპუსი 29, ბინა 18, პირადი #01002008207) ხელმოწერის ნამდვილობას. ხელმოწერა შესრულებულია მის მიერ ნოტარიუსის თანდასწრებით. ხელმომწერს განემარტა, რომ ხელისმოწერით დოკუმენტის შინაარსი არ მოწმდება, რაზედაც მან განაცხადა თანხმობა. დოკუმენტზე ხელმომწერის პირადობა დადგენილია, ქმედუნარიაუნობა შემოწმებულია. დოკუმენტი შედგენილია 1 გვერდზე, წარმოდგენილია ქართულ ენაზე, 1 ეგზემპლარად.

სულ დამოწმებულია 1 ხელმოწერა
სანოტარო საზღაური – 12,08 (თორმეტი ლარი და რვა თეთრი) ლარი, მათ შორის 6,00 (ექვსი) ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ 2011წ. 29.12. #507 მთავრობის დადგენილების მუხლი 31, აგრეთვე დღგ თანახმად საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა, 5 (ხუთი) ლარი, სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ 39-ე 3.1 მუხლის შესაბამისად.

ნოტარიუსი: /ნინო ხოფერია/

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: **www.notary.ge** ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: **+995(32) 2 66 19 18**